

ფასი 50კ.

ნიანტი

საქართველო

1936


№ 17-18



მხრებს ბანკში

ფაშისტები: სასიკვდილო განაჩენი გამოეყენებოდნ!
 ანთერია! ჩვენ მიიხსნენ არ უფორდაცვით მათ ვნა.
 მუშაკნი (თავისთავად): მართალია! თქვენც მათი გნით
 წახვ-დით

პროფესორის მოწვევა



„გეტაპოს“ (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) არაოფიციალურად გახსნილი აქვს კურსები, რომელზედაც გერმანელი უნივერსიტეტი თავის აგენტებს ასწავლიან პროვოკაციის, ტერორისა და გაშუქების ხელობას. სხვადასხვა პროვოკაციის მიზნით მის საპროფესიო საფრთხეში მსმენე-ლეებს მარქსის მოძღვრების შესახებაც უკითხავენ ლექციებს. (გაზეთებიდან).

კურსები ყოველმხრივ მოწყობილს იყო. მსმენელთა რაოდენობა — შერჩეული და შეესებოდა. საგნები — განაწილებული და ლექტორები — საგნებზე მიმაგრებული.

— მაგრამ მთავარ საგანში — ტერორში, საჭიროა მეტად დახელოვნებული და გამოცხენი ყაიდის მარქსიზმი სწავლებაშია. მოგეხსენებათ, რომ პროვოკაციის მოწყობის მიზნით ჩვენს აგენტებს დასჭირდებოდა მარქსიზმის თავისებურად შესწავლა! — მოახსენა ზინისტრს კურსების დირექტორმა.

— მარქისტული ლიტერატურა აკი დავწვიოთ და გავანადგურეთ?

— დიას, დავწვიოთ და გავანადგურეთ და კარგიც ვქენით.

— ხომ არ დარჩენილა რამდენიმე ცალი, კურსებზე მოვიხმაროთ? — შეეკითხა მინისტრი დირექტორს.

— არ დარჩენილა და არც არის საჭირო. ჩვენ ისეთი ლექტორე უნდა მოვიწვიოთ, რომელმაც მარქსიზმი იცის ჩვენს ყაიდაზე.

— ასეთ კაცს სად იშოვნო? — ეპვი გამოსთქვა მინისტრმა.

— მე მყავს მხედველობაში ერთი პიროვნება, თუ მისი წინააღმდეგი არ იქნება თქვენი კეთილშობილება.

— ვინ არის?

— მისტერ ტროცკი.

— ჩინებულა, დიდებულა, სულ გადამავიწყდა. წინააღმდეგი კი არა, ჩვენთვის მისწრებაა. მგონი მან ყველა პარტია მოიარა და ბოლოს ისევე ჩვენთან მოვიდა. კარგია, ძალიან კარგია. სწორედ ჩვენ რომ გვინდა, ისეთი მარქსისტია. მასვე მიეცით მთავარი საგანი — ტერორი.

— მეც ის მყავდამხედველობაში.

— დასაფასებელი კაცია. მართალია კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ჩვენი დავალებების შესრულებაში, მაგრამ მას საცდელი არ დაუქლია — დაუდასტურეს დამსწრეებმა.

ისელი.

ქმური კომისია

ანუ

საკოლმეურნეო აპარატების ზოგიერთ მუშაკთა მოქმედება, რაც ხშირად იწვევს სარევიზიო კომისიის წევრთა უმოქმედობას.

ზოგიერთ კოლმეურნეობებში შრომის აღრიცხვის საქმე მოუგვარებელია. სარევიზიო კომისიის წევრები კოლმეურნეობებში უმოქმედობას იჩენენ.

ნახ. ქოქიაშვილის.



— გაუმარჯოს ჩვენს ძმას, ჩვენს მეგობარს, ანთიმოზს, ჩვენი ქმური სარევიზიო კომისიის ძმამაც უძმეს წევრს!



მოშაკვდავი კაპიტალის
ერთგულია, როგორც ფინა,
ფაშისტების გესტაპოში
მოუნახავს მყურო ბინა.

„მიმიცია ფეშუმ-ფარა“...

უმაღლეს სასწავლებლებში „გაგა ფულ“ აბსტრაქტებით შეპარულ და შე-
საკარავად მიმავალ „ლიბა-სტუდენტების“ ჰიმნი.

მივლინებ უღარდელად,
არც მეფე ვარ, არცა გრაფი,
უმაღლესში მივალ, მიმაქვს
ატესტატი განაქაფი.

ფრიაღები დავწერე
ჩემივ ხელით ყველაფერში,
ქვას განეთქავს, სადაც წავალ,
„ში გიდი! ქული ჭერში“.

მიყილია ნაღდი ფულით
მიმიცია ფეშუმ-ფარა,
მისწრებაა, უგამოცდოთ
მიოი ბევრი შეიპარა.

მივლინებ უღარდელად
არც მეფე ვარ, არცა გრაფი
უმაღლესში მივალ, მიმაქვს
ატესტატი განაქაფი. **მედუზა**

ამერიკის ფაშისტურ ორგანიზაციის წევ-
რმა დირმა განაცხადა სასამართლოში,
რომ მან მოკლა დეტროიტში ნეგრო
კოლმანი „გართობის მიზნით“.

ფაშისტმა დირმა დრო გაატარა
წაიქეიფა, — ღვინო დალია
შემდეგ მოუნდა მოკვლა ნეგრისა
მერე, რა ვუყოთ, მისი ბრალია,

თუ სხვებიც კლავენ ნეგრს
გართობისთვის

სხვებზე უარესი რით არის დირი?
სულ სხვა იქნება ნეგრის მოკვლა რომ
ამერიკაში ჯდებოდეს ძვირი.

მაგრამ ვაი თუ ეს გართობა მათ
შურისძიებათ თავზე დაატყდეს
გართობისათვის რაც ჩაიდინეს,
ერთი ორად და ასად გადახდეს.

„სამოთხის
შკინველები“

გერმანელი „მეცნიერი“ ფონ გენდრინი
ამტკიცებს, რომ ბიბლიური სამოთხე მდე-
ბარეობდა არა მესოპოტამიაში, არამედ
დღევანდელი გერმანიის ტერიტორიაზე.

რომ სამოთხეა მშვენიერი
ესე ქვეყანა,
დასაჯერია უარყოფა
ამისი განა?

რომ აქ სამოთხე ყვავებულა
ედემი ძველი
ამას ამტკიცებს გერმანეთის
სვე ახლანდელი.

„ყვავებულა“ წალკოტივით
ნაირფერები
ყოველ კუთხეში სანეტარო
კონცლაგერები.

და მეწამული სისხლის ჩქეფით
დანამშვენები
ვით „ანგელოსნი“ დაფრინავენ
პოლისმენები.



კულტურის და დასვენების პარკში



ეროვნული
ბიბლიოთეკა
ნან. კანდელაკის ქ. ლიბოთეკა



— გამიშვით! მეტის მოთმენა აღარ უჩემოდლია.



მატარებლიდან ბურთივით გადმოგორდა იგი. დღეს, ამავე მატარებლით მუშათა ექსკურსია დაბრუნდა საბჭოთა დედა-ქალაქიდან და სადგურზე ყველა ეტლი და ავტო დაკავებული აღმოჩნდა.

— ბარგის წაღებას ხომ არ ინებებთ? — მიმართა შევსატვალეზიან პატარა კაცს ბ-ნ ოტო ტყუილშტეინს ტანბრვე ვაჟკაცმა ბარგმზიდავმა მუშამ.

— უახლოეს სასტუმროში! — ბრძანა ოტომ და ჩამადანი ბარგმზიდავს გადასცა.

— უკაცრავად, თქვენ მსახიობი შჩუკინი ხომ არ ბრძანდებით.

— მე მოგზაური ვარ, შეთავსებით ჟურნალისტიც.

— ად შორიდან მოემგზავრებით, — არ ისვენე. ცნობისმოყვარე ბარგმზიდავი.

— გეომანია გაგიგონია?

— დიახ, როგორ არა, საშინელი ქვეყანაა, ფაშისტებმა განადგურეს ყველაფერი კარგი მაგ ქვეყანაში.

— ეგ სიცრუეა...

— არა ჰერ, სიცრუის ლაპარაკი აკრძალულია ჩვენს ქვეყანაში!

შემნახველ სალაროს წინ გაიარეს ბ-ნმა ოტომ და ტვირთმზიდავმა. შემ-სალაროს შენობაში აღარება ხალხს მოეყარა თავი: ზოგი მოგებას იღებდა ერთი კვირის წინანდელ ტირაჟისას, მეორეებს ფული შეჰქონდათ შესანახად, სხვები ობლიგაციების გამოსაცვლელად მოსულიყვნენ. რიგი იყო გამართული შემსალაროში.

ბ-ნმა ოტომ „ლეიკის“ სისტემის ფოტო-აპარატი მოიმარჯვა და შემსალაროს რიგი გადიოდა, მერმე ბლოკნოტი ამოიღო ჯიბიდან და შემდეგი ჩაიწერა:

„სურათი №-8. როგორც სხვა სილაფერი, ბადრიჯანიც ძნელი საშოვარია ბოლშევიკების ქვეყანაში; ბოლშევიკებმა განადგურებამდე მიიყვანეს ბადრიჯნის მეურნეობა. მუშები ქარხნებში ლეზულობენ სპეციალურ ტალონებს ბადრიჯნის სასყიდლად. 12 ტალონზე ერთი კილო ბადრიჯანი ეძლევათ. სურათზე: მუშები ბადრიჯნის რიგში, ხელში უკავიათ ბადრიჯნის მისაღები ტალონები“.

— გუშინ მეც მივიღე სამი ათასი; ხომ კარგი მოგებაა სამი ათასი მანეთი ჰერ! ჩაიწერეთ, ჩემს გვარსაც მოგახსენებთ თუ გნებავთ.

ბ-ნმა ოტომ ბარგმზიდავს ჩამადანი დაღვმეგინა და სურათი გადაუღო. ბლოკნოტში ჩაიწერა:

„ჩემმა ბარგმზიდავმა დაინახა თუ არა ღივი ბადრიჯნის მაღაზიაში, ჩამადანი გაავლო ხელიდან და მომპარა:“

— ბარგს ვეღარ წამოვიღებ, ჰერ, აქ ბადრიჯანი მოსულა, სულ ერთ საათში გათავდება, ყიდვა თუ ვერ მოვასწარი, ტალონები გამიუქმდება.

ძლივს ვიშოვნე ბარგის ახალ წამლები“.

— იცით, ჰერ, ცოლმა მაჯობა, იმან უფრო მეტი მოიგო, სამი ბაგევი ერთად დაჰბადა გუშინ, 6 აქამდე მყავდა, ახლა 9 შვილის პატრონი ვარ; ათსებს მივიღებ სახელმწიფოდან. — თანდათან „უმეგობრდებოდა“ ბარგმზიდავი ბატონ ოტოს.

— კიდევ შორს არის?

— არა, ახლავე მივალთ... თქვენ მკვიდრი გერმანელი ბრძანდებით?.. ბერლინში ცხოვრობთ?...

— დიახ!

— ციხეში არ მჯდარხართ ამ უკანასკნელ წლებში?

— რა კითხვაა?! არა! — გაბრაზებით მიუგო ოტომ.

„მამ პატიოსანი კაცი ხარ — ჩამანდებოდა ხართო.“ — გაიფიქრა ბარგმზიდავმა და დღე მთელი განაგრძო გზა...

სასტუმროს მიუახლოვდნენ.

— დიდხანს დარჩებით აქ ჰერ?

— არ ვიცი.

— ერთ კვირას?

— არ ვიცი.

— აი, აქ ვახლავთ სასტუმრო ჰერ. ბარგმზიდავმა თითოთ უჩვენა ბატონ ოტოს წარწერა შენობაზე: „მუშათა სასტუმრო“.

— თქვენ უზრდილი ჰყოფილხართ „ბატონო“ მასპინძლო. ყველა თვალხილული კაცი შემატყობს: გათხუზული არ ვარ, ტანზე ცუდად არ მაცვია და კუჭიც მაძლარი მაქვს. მუშათა სასტუმროში ღამეს ვერ გავთვევ.

— ეს, ერთად ერთი საუკეთესო სასტუმროა ამ ქალაქში, ჰერ.

— სხვა სასტუმროც იქნება ალბათ, აქ ვერ დავრჩები.

— ყველა უცხოელი აქ, ამ სასტუმროში ჩერდება, ჰერ!

— ჩინეთიც და აზიისაიც უცხოეთია, ხომ გესმის!

ბარგმზიდავი დადუმდა. გზა განაგრძო. კარგა ხანს იარეს გაჩუმებულებმა.

— აი, აქ უფრო იაფია ღამის გათევა, ჰერ. ბინებიც კარგია, იმ სასტუმროს არაფრით ჩამოუვარდება.

ოტომ ახალი სასტუმროს წარწერას შეხედა.

„გლებთა სასახლე“.

დიდი ასოებით ეწერა შენობაზე. ოტო გაბრაზებით მიუბრუნდა ბარგმზიდავს და შესძახა.

— სამასხარო თავი ზედ გაბია! მურტალი გლები რომ ეიყო, შენი ძმა ვიქნებოდი, მუშათა სასტუმრო. გლებთა სახლი, იქნებ საჩათმევ ციხე სადმე! ეშმაკმა დაგწყველოს, რითი მიმაგვანე მუშას, ან გლებს. ხომ გითხარ: ვის რა ეკადრება უნდა იცოდეს მეთქი! — ტყუილად კაპრიზობთ, თქვენ მე დამაგვიანებთ, ჰერ, დღეს პრემიერაა „მუსიკ-ჰოლში“.

— საჩემო სასტუმრო მაჩვენე და შემდეგ იმას იქითაც გზა გქონია, — ჩაიბუღებულა ბატონმა ოტომ.

ნახევარი საათის შემდეგ ქალაქის განაპირას იყვნენ ბატონი ოტო და ჩვენი ნაცნობი ბარგმზიდავი.

— მუხლები დამაწყდა, სად დაეხეტები! — წამოიყიფა ოტომ.

— ახლავე მივალთ ჰერ.

და ცოტა ხნის შემდეგ ერთ შენობაზე მიუთითა ბარგმზიდავმა ბატონ ოტოს.

— შხოლოდ აი ეს სასტუმროა, ჰერ, ჩვენს ქვეყანაში, მშრომელებისათვის რომ არ არის აშენებული, დანარჩენი ყველა სასტუმრო კინო, თეატრი, სკოლა თუ უნივერსიტეტი, მშრომელებისათვისაა მოწყობილი; მიბრძანდით ჰერ, კარგად ყოფნას გისურვებთ! მე კი უნდა წავიდე, თორემ მაგ შენობასთან ახლოსაც არ გამშაკარებენ.

ბარგმზიდავმა ჩამადანი დაღვა და ისე გაბრუნდა, ფული არ მოუთხოვნია ოტოსთვის.

ახირებულმა სტუმარმა სასტუმროს შენობა აათვალიერა-ჩაათვალიერა და მალე დაიშინა.

სეთი წარწერა მოხვდა თაობაში: „გამსახლი“... 8. ივანოვილი.

საუპყვლიანი გაუკთხილება

ნახ. ქოქიაშვილის.



— მოედანთან რომ მიხვალ ფეხი არ შეათამაშო, დინჯად გაიარე.
— რა მოსაზრებით?
— ვილაცხს მოცეკვავე უგონები და სამმანეთიან ბილეთს მოგაწოდებს.




მხარს უჭერენ...

წახ. კანდელაკი.



იტალიის და გერმანიის უაზუსტობი: — ჩვენ მომხრე ვართ ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის... საფრანგეთის და საბჭოთა კავშირის მხრივ.



— ვასილ ივანიჩი! დიდი ხანია აქ მუშაობთ მწვანე კონცხის სანატორიუმში?

— არა, ემ სეზონში გადმოვედი ბორჯომიდან: მაინც, რაც უნდა იყოს, ზუგუა, ბათუმის ახლოსაა, პროფკავშირების სანატორიუმია.

— თქვენი სპეციალობა?
— მართალი რომ ითქვას, მე გარკვეული სპეციალობა არა მაქვს: საერთოდ კი კულტურულ მომუშავე ვარ, ესე იგი კულტურნიკი.

— ეს რას ნიშნავს: ალბათ დიდათ კულტურული ადამიანი იქნებით?

— რაღა თქმა უნდა! ჩემზეა დაყრდნობილი მთელი სანატორიუმის კულტურული მომსახურება. ამდენი ხალხის კულტურულ დაკმაყოფილებას თქვენ ეხმარებით? მერე რა ხალხია: სტახანოველი, ინჟინერი, მეცნიერი, ლაბორანტი,— ვინ გინდა აქ არ იყოს...

— ერთი გვიამბეთ, რა კულტომსახურებას უწევთ.

— რა უცნაური კითხვაა: არ არსებობს კულტურული მუშაობის ისეთი დარგი, რომელიც ჩემს მიერ აქ არ იყოს თავიდან ბოლომდე გაშლილი.

— კონცერტებს ვინ ატარებს აქ?

— მე თითონ. მე ვარ მომღერალიც, კუპლეტიც... განსაკუთრებით კარგად ვასრულებ კუპლეტებს და რომანსებს, თუმცა ფელეტონების წაკითხვაც კარგად მეხერხება და სკეტჩებში ხომ ცნობილი ვარ. ამავე დროს საუკეთესო დამკვრელი ვარ და ცეკვა ვიცი ისეთი, რომ მე კი არა, მაყურებლებს უხვევთ თავბრუს. ხალხს ვერ უძლებს და პირს მიიბრუნებს ხოლმე.

— სამკურნალო ფიზკულტურის ხელმძღვანელი ვინ არის აქ?

— მე ვარ— ვასილ ივანიჩი სტარი. სამკურნალოსი რა მოვასხენთ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფიზკულტურა საერთოდ არ მისწავლია, ამ ხალხს მაინც ვატრიალებ წაღმა-უკლმა: სულერთია, ავადმყოფი ხალხია, წინააღმდეგობის თავი არა აქვთ.

— კიდეც ვინ გამოდის კონცერტზე?

— ოოო!... პირველია ვარმონისტი იხვეკვები. მართალია, აქაურები გაიძახიან. არ მოგეწონს, მოგვაშორეთო, მაგრამ ის იმი-



— ხომ არ დავბნე ქლვართ? — ყველაფერი გააოცვლნოლია.

ტომ, რომ ყური არა აქვთ შეჩვეული. იცით რა არის იმეთი ვარმონი, განსაკუთრებით ღვინის გადაკვრის შემდეგ? ესენი რომ „ახეტი ჩორნიე გლაზას“ დაუკრავენ, გული წა-

გივა. ეს ჩვენი დამსვენებლები კი ყურებში თითებს იცობენ. მოდი და ელაპარაკე ასეთ ხალხს.
— კიდეც ვინ გამოდის?

ცია. უფრო სამართლიანი იქნება.. ოხ, არამზადა... არ მინდა რომ ჩემს ცხოვრებაში რაიმე მოსაგონარი დარჩეს იმ ხულოვანის შესახებ.

თან: — ხომ იცნობდით როცა გაპყვეათ?

თანა: — ისე, თითქმის შორიდან. საძვერ შეგხვდით ერთი მეორეს. რა ვაცოდი თუ ვაუწყებელი ლოთი და ხულოვანი იქნებოდა?

თან.: — საქმეს სხვა არაფერი უშველს: ან უნდა გადასინჯოთ თქვენი გადაწყვეტილება განშორების შესახებ, ან უნდა წარმოადგინოთ ხუთი თუმიანი და პასპორტა განკარგვის ადსანიშნადად.

თანა: — ფულს წარმოადგენ მაგრამ.. ნუ თუ ყველა კაცები ლოთები და ხულოვანები არიან?...

თან.: — აჭარბებთ. რაც თქვენ აღნიშნეთ, თქვენს ახლად შერთულ მეუღლის შესახებ,

არც ის გაძღვეთ უფლებას რომ მას ლოთი და ხულოვანი უწოდოთ. წინასწარ რომ დაახლოვებოდით კი, ეგ კონფლიქტიც ავცილდებოდით... მაშ ასე, გვითხარით თქვენი გადაწყვეტილება. თუ დამშვიდების შემდეგ მოიფიქრებთ, უმჯობესი იქნება...

თანა: — გითანხმებით, თუ საქირო იქნება შემოვივლი (ვადის). დაუკვირებლად, უბრალო ადელვების საფუძველზე.

უურნა: — დიად, სწყდება ზერელედ, დაუკვირებლად. სწყდება ისეთი საკითხები, რომლის შესახებაც ნაჩქარევად მიღებული ხეპრული გადაწყვეტა ხშირად მოქალაქის მთელს სიცოცხლეს აძლიერს მიმართულებას. (წასასვლელად ემზადება) დიდი მადლობელი ვარ. მე ბევრი საინტერესო ვნახე, რაც საკმაოდ სწორი შთაბეჭდილებებს მისაღებად, ახლა კი წავალ და, რომ ხელი არ შეგიშა-

ლოთ, სამსახურის დასრულების შემდეგ შემოვივლი. სულ 15-20 წუთი დამჭირდება თქვენთან ერთად ზოგიერთ საკითხზე ციფრობრივი მონაცემების შესაჯამებლად.

თან.: — ჩვენთან მუშაობა სალამოთიც სწარმოებს, მაგრამ რად გინდათ გადადება. უკვე თორმეტი საათია და შემოდის დასვენების ნახევარი საათი მაგ საქმისათვის გამოვიყენო.

უურნა: — ნახევარი არ გვინდა 15-20 წუთი.

თან.: — ცოტა ხნით დასვენება ზოგიერთ მოქალაქეებისათვისაც კარგია. 20 წუთით შესვენება მათ გადაწყვეტილებაში მთელ რევოლუციას გამოიწვევს...

ფარდა
მედუსა
ქართულ-იმერელი
(დასასრული შემდეგ ნომერში)

— გამოდის ცნობილი მომღერალი პლაშ-ოვსკაია. რატომ უნდა, გაგიგონიათ და მოგისმენიათ.

— არც გამიგონია, არც მომისმენია.

— მეცოდებით! ჰკითხეთ დამსვენებლებს! ისეთი სასიამოვნო ხმა აქვს, რომ ჩვენი გულ-ჩველი დამსვენებლები ვერ უძლებენ მის მოსმენას: დაიწყებს თუ არა მღერას, დამსვენებლები გულაჩუყებულნი გარბიან შორეს, ზღვისაკენ და იქიდან უსმენენ. ერთმანეთთან თავი კინალამ დაიხრჩო, ისე მოეწონა...

— დიან, მესმის! კიდევ ვინ გამოგყავთ?

— გამოგყავს ესტრადის ლეგენდარული არტისტი კომაროვი.

— კარგი რეპერტუარი აქვს?

— ჩინებული. აქაური დამსვენებლები ვაიძახიან, უმსგავსო რეპერტუარის მქონეაო. უმსგავსო, ანუ უბადლო, შეუღარებელი, ხომ გესმით ეს თქვენ?

— რაღა თქმა უნდა მესმის... კიდევ?

— მოვიყვანეთ აგრეთვე ციგნების, ანუ ბოშების გუნდი. ჩვენმა ბიჭებმა მაშინვე იცნეს და სთქვეს: „ციგნები არიან ესენი და ამათი მომყვანიცო“. ესე იგი მეც ციგნად ანუ ბოშად გამომიყვანეს. ეს რომ, ესენიც ძალიან მოეწონათ.

— ეტყობა... ცეკვები, საერთოდ, არა?

— არის... ესე იგი, მოვიყვანე ევროპული ცეკვის მასწავლებელი და ფული გაპოართვა ყველა მსურველს. მას შემდეგ წაკადა და აღარ მოსულა, მაგრამ სულერთია, ამ წყებას თუ არა, სხვა წყებას მაინც ასწავლის.

— კი მაგრამ ამათი ფული ხომ დაიკარგა?

— ბიჭოს! ჩემი ბრალია რომ დაიკარგა თუ? მე ხომ არ მითქვამს, ფული ამოართვი და არ ასწავლო მეტი? მე მხოლოდ ნიკიყვანე...

— სასიამოვნოა. კინო-სურათები თუ მიდის?

— მიდის, როგორ არ მიდის, მაგრამ ამ ხალხის ვერაფერი გაგიგე. დაუჩემებიათ, ლენტები ხშირად წყდება და წერებს გვაშლისო. ბიჭოს, ლენტი რომ ქველი იყოს, მე ვარ დამნაშავე? ან მაგათ რომ სუსტა წერები ქონდეთ, ჩემი ბრალია? მე რომ წერების ექიმობა შემეძლოს. მაშინ ხალტურნიკათ... უკაცრავად, კულტურნიკად კი არ დავდებოდი.

— გასაგებია ვასილ ივანჩი, ვასაგაჩია: ხალტურნიკების საწყებად კი არ გეუბნები: და თქვენ ძლიერ წააგავხართ მათ. ოღონდ ჩვენ გვაკვირებს საქმილები და ხელოვნების საქმეთა სამმართველო.

— ოო! აი, მანდა ვარ მეც. იმათ მოჰკითხეთ, მე რა შუაში ვარ, ცოლ-შვილი მყავს სარჩენი!

ალღარ-საღღარსან.



სახლის მებატრონი: — მომეცით ხელი, მეგობარო, ჩვენ ორივე ერთ საქმეს ვეშახურებთ: ორივე ტყავს ვაძრობთ მოაგარაკებს.

პეპეკი ნიანგს

(ქოზულეთი).

ხუთი დღეა, რაც, ნიანგი, ამ მხარეში ჩამოვედი, მაგრამ უკვე ხუთის ნაცვლად დავიწყველე ათეორ ბელი. ჯერ საღებურზე, მოკლედ გეტყვ, არ მწამს გრძელი მასლათი ავტოს ლოდინს, ავტოს მოსვლას მოვანდომე რვა საათი. მანუგეშეს: — ეგ რა არის! სხვაგან მგზავრთა გუნდებია, რომლებიც რომ ავტოს ლოდინს მთელ დღე-ღამით უნდებიან

დავბინავდი. ვცხოვრობ, მაგრამ გამხელაა სათაკილო: ორ ნახევარ მანეთად ღირს პამიდორი ერთი კილო. აფთიაქს წინ ფასადი აქვს „მოკაზმული ია-ვარდათ“, გასაყიდი უხვად არის ელაფერი წამლის გარდა. ტელეფონით დაძახებას სხვაგან ნურვიან დამაველოებს, რადგან ხაზი ძლივას სწვდება ფოსტის გამგის ნაცნობ ქალებს

არ დავფარავ, ნიანგოჯან, მეც გაუამხელ ვასამხელსა ზღვის ნაპირზე ტანის ნაცვლად ისეველებენ ხშირად ყელსა. აფერისტი ბერიშვილი საგაზეთო კიოსკიდან ერთ ცალ გაზეთს სამ ფურცელით სამ გაზეთად ხშირად ყილდა. ეს გაიგო რაიკომმა და მიიღო თუმცა ზომა, დე, შენც მისცე ქურდ-ბაცარას, მსგავსი ხალხით გაყვარს ძლომა.



მზავრები: — ესენი თავის საყოფს არაფერს ამზადებენ და ჩვენთვის რაღა დარჩებათ?

ესპანეთიდან ოცდაცხრა ლტოლვილი გერმანელი (მათ შორის ერთი 9 წლის ბავშვი) ბერლინში ჩასვლისთანავე დაიჭირეს და სამოქალაქო უფლებები აართვეს. მათ აბრალებენ ანტიფაშისტურ პროპაგანდას საზღვარგარეთ.

საწყალი ბავშვი, აწ უფლებო, — გახდება ქუჩის ის მაწანწალა, რას იფიქრებდა მის სამშობლოში მოესპობოდა ცოდნა და სწავლა.

ღარიბი იყო მისი დედ-მამა და ფაშისტებმა ქოხი დაუწვეს, ეგონა: ასეთ ყოფაში ობოლს სამშობლო მისი შევლას გაუწვეს.

მაგრამ ხომ ჰხედავთ დედებთან ერთად მასაც ახადეს ყველა უფლება. ბავშვი არ სტირის, სწამს მომავალი, მასში იღვიძებს შურისძიება

გულს გული იცნობს

იტალიის ფაშისტები ესპანეთის აჯანყებულებს იარაღებს აწვდიან ისეთი ყუთებით, რასაც გარედან აწერია: „კონსერვები“.

გულს გული იცნობს, ჩვენც ვიცით, და ხელებს ბანენ ხელები მეწამულ დროშის ფრიალით შიშისგან განახელები.

„სა-ღარბუაში დანელია არ ვარ სუსტი და ნლია“

(ქუთაისი)

— სდექ! — შესძახა მეეტლეს ნესტორმა ეტლი გაჩერდა და ნესტორი გადმობრძანდა.

— აქ დამიცადე, მინამ ქეიფს მოვრჩებოდე! — უბრძანა მან მეეტლეს. — ფეხი არ დაძრა აქედან თორემ ხომ იცი ჩემი ამბავი! — გააფრთხილა მეეტლე და შებრძანდა სასადილოში.

— აქ ვიწრო ქუჩაა და ეტლის გაჩერება არ შეიძლება! უთხრა საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა ჩარკვიანმა მეეტლეს.

— ეს მეც ვიცი, მარა ხომ იცი ჩვენი ნესტორის ამბავი? — მიბრძანა ფეხი არ დაძრა აქედანო! — მუგო მეეტლემ მას.

— ვინ ნესტორაა?

— აი, ერთი ვინმე ლოთი-შფოთი რომ ღრის, ნესტორ დანელია, ნინოშვილის ქუჩაზე რომ ინვალიდების სასადილოა, იმისი გამგე, აი დააყურე, თითონ მღერის ვინც არის:

მე დანელია გახლავარ,
სახელად მქვია ნესტორი,
სულ ვაი დედა ვაძახე
ვისაც შემოვკარ ეს ტორი.

ისმოდა სასადილოდან ნესტორის სიმღერა.

— იქით დააყენე ეტლი, აი იმ ქუჩის მოსახვევში და იქ დაუტადე! — ურჩია მეეტლეს მილიციელმა.

— მომკლავს, მცემს! — თქვა შეშინებულმა მეეტლემ და ნებართვის ასაღებად სასადილოში შევიდა დანელიასთან.

— რაო? არ შეიძლებაო? მომიყვანე აქა! — გაცხარდა იგი. მეეტლე დაბრუნდა პასუხით:

— არ მოდის, საგუშაგოზე ვდგავარ და ვერ დაგტოვებო!

— დედას ვუტირებ! — გახელდა დანელია და გარედ გამოვარდა.

— იცი შენ ვინ ვარ მე? — შესძახა მილიციელს.

— ვინც არ უნდა იყვეთ, მოქალაქე, აქ ეტლის გაჩერება არ შეიძლება!

— მე გეკითხები შენ: იცი თუ არა ვინა ვარ მე?

— არ ვიცი და...

— აი ახლა გაიგებ ვინცა ვარ მე! — და მან სილა გააწნა მილიციელს.

ნესტორს ჰკადრეს სამილიციო უბანში წაყვანა... ჰო, წაყვანა ჰკადრეს, მაგრამ სხვა კი არაფერი.

— დაანებე კაცო თავი, ხომ იცი როგორი თავზეხელაღებული კაცია. კიდევ იოლად გადარჩენილხარ! — უთხრა თავის თანამშრომელს სამილიციო უბანში მორიგე უფროსმა.

ოქმი დაიწერა. ოქმი მათდის... უკაცრავად, ოქმი მაგიდაზე გადაფარებულ ქაღალდის ქვეშ ამოლიო... ოქმი დაობდა... დაობდა... დაბერდა... გაცვდა და არქივში ჩაქერებულ საქმეებში სადღაც უპატრონოდ გარდაიცვალა.

ნესტორი კი ისევ მღერის:

აქეთ გამვლემებს წიხლსა ვკრავ
იქით ვიტრინებს ძვრას ვუწამ.
სასადილოებს დავივლი
და ყველგან ღვინოს ულაპს ვუწამ.
მმრა


ტუსუღი იუმერკი

გაუმგრობა, რომელიც გესტაპოში სდება

გერმანელი მოქალაქისთვის
უზღებანი ბიზლირთეკა



ნახ. ლ. სოიფერტის




— ტროცკისტების სურათები კიდევ ერთ ყუთში ჩაგიღვეს სხვა მარქსისტების სურათებთან ერთად. უნდა გააჩიოთ ჩვენი აგენტები ჩვენი მტრებისაგან!

აგარაკზე, უნავთოგის გამო.

ნახ. ი. განფის




— რას იკვლევ?
— არაფერს, ერბო-კვერცხს ვზრავ.



მროშის.



დასვენების.



განათლების.

ა მ ხ ა ნ ა გ ო ნ ი ა ნ გ ო !

ამხ. ნიანგო!

მე ვარ ბათუმის ყოფ. ცენტ. ინტერნატის ყოფილი გამგე ახლა ამ შენობაში, სადაც მეც ვცხოვრობ, მედტექნიკუმი. გვიან მოთავდება სამსახური ღამის 12 საათზე და ხშირად გარედ მიხდება ღამის გათენება, ვერ შევდივარ ჩემს ბინაში, შესასვლელი სადარბაზო კარი 10 საათზე იკეტება, შენობაში მოთავსებულ მედტექნიკუმის გამგის გაბრიელ ხრომანსკის განკარგულებით.

— სად წავიდე?—ხან მეგობრებთან, ხან სასტუმროში. გაბრ. ხრომანსკის უნდა ასეთი ხერხებით მაიძულოს ბინის დაცლა, ღადგან სხვა ხერხი და საშუალება მის მიერ ამოწოვრილია. (პროკურატურა; სასამართლო, მილიცია და სხ.).

მირჩიე, რა ხერხს მიემართო ხრომანსკის „იერიშებისაგან“ თავის დასაცავად ამხ. ნიანგო?

ნ. გ.—ძე.

ამხ. ნიანგო!

ხეცუბნის სამალარიო სადგურს (ქობულეთის რაიონი) ერთი „დამსახურებული“ ექიმი ჰყავთ. გვარად ლომთათიძე. ეს ექიმი რაიონის სხვა სოფლებიდან ჩამოსულ, მალარიით დაავადებულ გლეხებს თითო ნემსის გაკეთებაში ათ მანეთს ახდევინებს. როდესაც გაცვირვებული გლეხები ეკითხებიან: „რა ამბავია ათი მანეთით?“ ლომთათიძე ასეთ პასუხს აძლევს:

— ვა, იქიდან აქ ჩამოსულხარ და ათი მანეთიც აღარა ღირს?

ბევრი უმტკიცებს ლომთათიძეს, რომ ნემსის გაკეთების ფასზე ახლო და შორი მანძილი არაფერ გავლენას არ ახდენს, მაგრამ ჯინიანს, არაფერი სჯერა.

შენ მაინც ჩამოდი ამხ. ნიანგო შენი „ნემსით“ და დაუმტკიცე ლომთათიძეს, რომ შორიდან მოსვლის დროსაც შეიძლება ნემსის უფასოდ გაკეთება!

ციებცხელებიანი.

ამხ. ნიანგო!

აგარაკი სურამი მთელი ზაფხულის განმავლობაში მოუმარაგებელი იყო ნავით და ახლაც მოუმარაგებელია, რის გამოც სპეკულიანტური ელემენტები სარგებლობენ და მათ ხელში ფუთი ნავთი ორმოც მანეთად ფასობს.

გამოორკვიე, ამხ. ნიანგო, ნავთის ასეთ „ფასთან“ შეფარდებით, რამდენად უნდა შევფასოთ ის ორგანიზაცია, რომელსაც ჩვენი აგარაკის მომარაგება ეკისრება?

მგონი უკანასკნელის ფასი ხვიშტიც (1/4 ცაბ.) ბევრი იქნება.

მოავარაკე.

ამხ. ნიანგო!


ტფილისში, 26 კომ. სახ. რაიონში „ტფილ-ავტოტრანსმა“ ერთი დანჯღრეული ავტობუსი დანიშნა უტრმევაიო უბნისათვის მომსახურების გაწევის მიზნით. მარშრუტი ძალიან მოკლე იყო და ამ რაიონისათვის მიუღებელი. ამის გამო ვაზ. „მუშაში“ კორესპონდენცია დაიბეჭდა. კორესპონდენტი ამხელდა ამ მარშრუტის მიუღებლობას და ამავე უბანში სხვა მარშრუტის დანიშვნის წინადადებას აძლევდა ტფილავტოტრანსს“. მაგრამ თურმე ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონია „ტფილავტოტრანსს“ გამგეობას: რის შესახებაც კი ვაზეთში დაიწერა ნაკლად მიიღებენ და ამ „ნაკლს“ სრულიად ალგვიან მიწის პირიდან: ვაზეთში დაწერის მეორე დღესვე სრულიად მოხსნეს ეს ავტობუსი. ძალიან საუცხოო ჩვეულებაა: რის შესახებაც ვაზეთში დასწერენ, როგორც ნაკლს, მეორე დღესვე მოსაო როგორც „მიუღებელი“, ხომ არც ჩვენ გვაქვს ცუდი ჩვეულება ამხ. ნიანგო: გუშინ მარშრუტის უვარგისობა ვამხილეთ, დღეს—„ტფილავტოტრანსის“ გამგეობას ვამხელთ, როგორც ნაკლს. ალავრდი „ტფილავტოტრანსელების“ ჩვეულებასთან ვართ!

ფეხით მოხიარულე.

ნერწყვმოგვრილი.

წინდახედული

ნახ. კანდელაკის.



კომუნისტნი: — რატომ ითხოვთ ონკანის შეკეთებას, იღინოს, გაგრილდებთ!
მომხმარებელი: — ახლა კი გვაგრილებს, მაგრამ წყლის ფულის გადახდის დროს გავაკცხლებს.



— შინ რომ მივდივარ ქუდს ვიხდი, მაგრამ ქოლგა მაინც მახურავს... კოკისპირულად წვიმს ჩემს ოთახში.

ვადგვყვიტე შემეძინა
ფენსაცმელი ერთი წყვილი.
აკდაგოგი, დახეული
ფენსაცმელით ხომ არ ვივლი?
სეთხე ღღე დავაღამე
„ლიუქსის“ წინ რიგში დგომით,
როგორც იქნა მეც მეღირსა:
შიგ შევედი ბრილით, ომით.
გაძასინჯეს, გამოსწერეს,
შიგნით შტამპი დაადაღეს
რის შემდეგაც „ლიუქსის“ კარი
სადარბაზოც კი გააღეს.
გამოვედი სიამაყით,
ცოლს ვახარე საქმე ხელად.
ფენსაცმელია ლამაზია,
მეფანება ჩასაცმელად.
კარგი წინდაც შევიძინე
და ჩავიცვი ტუფლი ჩქარა...
„სალამოს რომ გავიხადე,
ვხედავ: ცხვირთან გადამსკდარა.
ელდა მეცა... დამაწყნარეს
მითხრეს: „შტამპი ხომ არტყია
გამოსცვლიან... ზედ სწერია
რომელ რიცხვში ნაყიდა“.
გულს მომეშვა — ტუფლს ჩავხედე
ჩანდა მხოლოდ ლაქა მრგვალად,
ყიდვის რიცხვი და ნომერი
გადაშლილა, სულ გამქრალა.
ჩემს წინდას კი შტამპის კვალი
დაჩნოდა მღვრიეს რგოლად,
ხელი მწარედ ჩავიქნიე
ღირდა ტუფლი ამდენ ბრძოლად?
გაკვეთილზე შევედი და...
თითი ისე მიჩნდა ტუფლში,
ახალ მოდის ტუფლებს ჰგავდა
(ქალებს ეციათ ამ ზაფხულში)
ახლა რა ვქნა? ისევ ვფიქრობ
„პლტიონის“ მიდის მოდა,
ვინ დაგწყევლო? — აღარ ვიცი,
ვის ეწიოს ჩემი ცოდვა?...
წელი

გოღოკრი

სამ-სარლის (სოფ. ეწერი, ჭიათურის რ.)
მივიღეთ თქვენი ფელეტონი: „სოფელ ეწრის
უჩიტელი“, გამომდგარა ურჩი მღვდელი“, და
ამასთანავე გვიგზავნით ადგილობრივ გაზეთ-
ში მოთავსებულ შარშანდელ კორესპონდენ-
ციას ამავე საკითხზე.

დაუკეტეს ეკლესია,
დარჩა მღვდელი ხანამშრალი,
მაგრამ კაცსა განაწირსა,
არ გასწირავს ხომ უფალი?
სკოლას თავი შეაფარა,
მას აქ მისცეს თბილი ბინა.
წვერნაპარსი კაპიტონი
პედაგოგათ მოგვევლინა.

ჰოდა, ამის შემდეგ არც გასაკვირია, თუ
იგი ზოგიერთებში ახლაც ამბობს:

მართალია გავიპარსე
გავიკრივე თმა და წვერი,
მაგრამ გულში „ალილუიას“
მუდამ ვგალობ, მუდამ ვმღერო.
ამდენი ხნის ჩემი ლოცვა
შეიწყნარა მალლა ღმერთმა,
მღვდელი ვიქმეც პედაგოგათ,
და ეს მიყო კაცმა ერთმა.

ნიანგისთვის უფრო საინტერესო იქნებო-
და, იმ „ერთი კაცის“ ვინაობა, ვიდრე

ნახუცარი პედაგოგის, რომელსაც ალბათ ამ
ახალი სამოსწავლო წლიდან განათლების
განყოფილება უყურადღებოდ არ დასტოვებს.

შ. ბრილს. (სურამი). ვბეჭდავთ ად-
გილს თქვენი ლექსიდან:

ამ ჩვენს კოლპერატოვში
ბლომად არის აი რა:
დუხი, პუდრი, პამადა,
ჩუმჩაირა-ჩაირა.
სხვა თუ რამე მოგინდათ,
პასუხია აი რა:
— „ეს არა გვაქვს, გენაცვა“,
ჩუმჩაირა-ჩაირა.
გამგეობა არ ზრუნავს,
მიზეზია აი რა:
უყვართ უფრო ქეიფი,
ჩუმჩაირა-ჩაირა.

ალბათ ამ თქვენი სასიმღერო ლექსის შემ-
დეგ ისინი უფრო მოვლენ ქეიფის ხოშზე და
ისევ აღარ ექნებათ დრო პირველი მოთხოვ-
ნილების საქონლის შესაძენად.

ჯე-ლის (ქარელი). სახუმარო წერილის
დასაწერად ვიყავით განწყობილი, რომ თქვე-
ნი წერილი წავიკითხეთ. წავიკითხეთ და,
დაგვეკარგა ხალისი, მაგრამ კიდევ კარგი,
რომ ერთ ალაგას ასეთ ადგილს წავაწყდით

წერილში, რომელსაც პირადად წადაქცნა!
უგზავნი თქვენი ვინაობის გასაცნობად:

„მე შემძლია ჩვენი მშვენიერი ცხოვრები!
სასიქადულოდ მთელი სატევარით ბრძოლა“.
ალბათ თქვენ ის სატევარი გაქვთ, რომელ
საც სოლომონ ზურგიელიძემ ხობტა უძღვნა
„— ხანჯალო შენ სატევარო, ორივე მხა-
რეს პირი გაქვს, ყუა აბა სად გექნება?“

ცარიელ თავს სცემე ყუა,
შიგ არ შევა მაინც ჰყუა.

ვანელს. (ვანი). თქვენი ლექსი ეხება ვინ
მე მიხელაშვილს, რომელსაც რაიმალაზია თა-
ვი სახლში გადაუტანია და მალაზისის საქო-
ნელი ნაცნობ მეგობრებისთვის დაურიგები
მოგვეყავს ერთი ადგილი თქვენი ლექსიდან

მიხელაშვილი ჩემი
არის მეგობარი
და ვმეგობრობთ ერთმანეთს
ვით მეგლი და ცხვარი.

თუ ცხვარმა მალაზია შექამა მეგლი რაღა?
აკეთებდა?

გოღოკრის. (ჭიათურა). მივიღეთ თქვენი
ფასიანი წერილი (ფასი 25 მ.) და აგრეთვე
„ლექსი — პროზათ“, გამოდის, რომ თქვე-
მას აფასებთ 25 მ. კეთილი და პატიოსანი
შეიძლება ის თქვენთვის 25.000 მანეთი
ღირდეს, ჩვენთვის კი 25 კაპ. არ ღირს.



Mariashvili 36.

ეპიფი: — ისუნთქეთ თავისუფლად.

მეამბოხებ გენერალი: — არ შემოდლა... არ თვეზე მეტია, რაც ალყაშემორტყმული ვარ ასტურიელ მუშებისაგან.